პარლამენტის პარტიული შემადგენლობა და თანამდებობების განაწილება

2023 წლის 15 მაისის მდგომარეობით საქართველოს პარლამენტში 139 დეპუტატია. აქედან 83 დეპუტატი საპარლამენტო უმრავლესობას მიეკუთვნება, 56 კი - ოპოზიციას.

83 დეპუტატიდან 74 ფრაქცია Ḍ□□□□□□□ ოცნების □ წევრია, დანარჩენი 9 კი უმრავლესობაში გაერთიანებულ პოლიტიკურ ჯგუფს „ხალხის ძალას“ მიეკუთვნება.

ოპოზიციის 56 დეპუტატიდან 24 ფრაქცია Ḍ□□□□□□□ ნაციონალური მოძრაობის □ წევრია, 22 დეპუტატი 6 პოლიტიკურ ჯგუფშია გადანაწილებული,[1] 10 კი უფრაქციო პარლამენტის წევრია.

პარლამენტის სპიკერატის, კომიტეტების, ფრაქციების და პოლიტიკური ჯგუფების მიხედვით, დღეის მდგომარეობით პარლამენტში შესაძლებელია იყოს 91 თანამდებობა. ამ თანამდებობებს მიეკუთვნება: პარლამენტის თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე და 4 მოადგილე, 16 კომიტეტის თავმჯდომარე, კომიტეტების თავმჯდომარეების 48 მოადგილე, ფრაქციების თავმჯდომარეები (2) და ყოველ 8 წევრზე მათი თითო მოადგილე, აგრეთვე პოლიტიკური ჯგუფების თავმჯდომარეები (სულ 7).

91 თანამდებობიდან 2023 წლის 15 მაისის მდგომარეობით ათვისებულია 77 თანამდებობა, 14 კი - ვაკანტურია. ათვისებული 77 თანამდებობიდან 59 საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებს უკავიათ, ხოლო 18 - ოპოზიციას.

ასათვისებელი თანამდებობებიდან უმეტესობა ოპოზიციისაა. კერძოდ, ოპოზიციას არ წარუდგენია 9 კომიტეტში თავმჯდომარის მოადგილე,[2] ასევე სპიკერატში - 1 მოადგილე.

რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობას, Ḍ□□□□□□ ოცნებას □ თავის ფრაქციაში კიდევ 2 მოადგილის არჩევის უფლება აქვს, ხოლო კომიტეტებში უმრავლესობისთვის განკუთვნილი მოადგილის თითო კვოტა მხოლოდ ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებშია ჯერჯერობით აუთვისებელი.

კომიტეტების თავმჯდომარეებიდან 16-ვე საპარლამენტო უმრავლესობის წევრია (ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“).






საპარლამენტო ოპოზიცია (56 დეპუტატი)
24
10
5
5
2
4
4
2
ნაციონალური მოძრაობა
უფრაქციო დეპუტატები
საქართველოსთვის
რეფორმების ჯგუფი
ლელო
ევროპელი სოციალისტები
გირჩი
მოქალაქეები


საპარლამენტო თანამდებობების რაოდენობა (სულ 91)
15%
85%
ათვისებული 77
ვაკანტური 14


77 თანამდებობის განაწილება უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის
23%
77%
საპარლამენტო უმრავლესობა -59
ოპოზიცია - 18


ვაკანტური თანამდებობები 14
უმრავლესობა 4
ოპოზიცია 10
29%
71%


ოპოზიციის თანამდებობები
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
1
1
9
7
0
4
0
6
სპიკერატში
კომიტეტებში
ფრაქციებში
პოლიტიკურ ჯგუფებში
ოპოზიციის ქვეშ ათვისებული თანამდებობები
ვაკანტური